პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

პარასკევი, 12 სექტემბერი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 3 კაპ.

წითელი არმიელი

№ 596 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა საველე ელ. 16

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც' ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

ეს არის მათი სრული გაკოტრების მომასწავებელი.

ამ ათი დღის წინეთ ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ კუთხეებში მოწყობილ ვერაგობის მთავარი სულის ჩამდგმელნი მენშევიკები, ფედერალისტები და ნაციონალ-დემოკრატები იყვნენ.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა იმის თქმა, რომ ეს ვერაგობა მხოლოდ და მხოლოდ ქართულია და მასში სხვას ბრალი არ უდევსო.

ეს „გამოსვლები“ მოწყობილი იყო ევროპის ბურჟუების ლაქიების: მე-2-რე ინტერნაციონალის „გმირების“ მიერ.

მეორე ინტერნაციონალი დიდი ხანია შეუხმატკბილდა მდიდრებს.

ისინი ერთად აწარმოებენ მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლას.

ამ მხრივ მრავალი შავი სტრიქონები შეიტანა თავის ისტორიაში მენშევიკურმა პარტიამ.

როდესღაც ძლიერი და გავლენიანი ის თანდათან დასუსტდა.

დღეს უკვე ნახევრად ცოცხალ-მკვდარი უკანასკნელ წუთებს განიცდის.

ამის საუცხოვო დამამტკიცებელი არის ჩვენში მომხდარი ამბები.

აქ მენშევიკებს დიდი გავლენა ქონდათ.

მაგრამ თავის მოღალატურ მოქმედებით დაკარგეს ეს გავლენა. ჯერ იყო და შარშან ჩამოცილდა 20 ათასი მუშა და ღარიბი გლეხი. შემდეგში ყოველდღე ცილდებოდა თითო-ოროლა.

საზღვარ-გარეთ წასული ბ. ნ. ჟორდანია მაინც ილაჯს არ იტეხდა. იგი ამბობდა, რომ ჩვენი პარტია მკვდრეთით აღსდგაო.

ეს აღდგომა კიდევაც იწვნია მან ამ დღეებში.

მიუხედავად დიდი მუშაობისა, ფრანგული ოქროების და სხვა ფულის ნიშნების აუარებელი დახარჯვისა, მათ ვერ შესძლეს ვერც ერთი მუშის, ვერც ერთი გლეხის, ვერც ერთი წითელ არმიელის შიმხრობა.

მათ კარებს მიაწყდა მხოლოდ და მხოლოდ მდიდრები.

თავადები, მღვდლები, ყოფილი ოფიცრობა, აი ვინ იყო შეიარაღებული ჩვენს წინააღმდეგ.

ეს კი რას ნიშნავს?

ეს იმას ნიშნავს, რომ მენშევიკებმა დაკარგეს ნდობა ხალხის ძირა ფენებში. მათ მხოლოდ მდიდრები უჭერენ მხარს.

იმდენად, რამდენადაც ჩვენში ვერაგულ გამოსვლებს ხელს უწყობდენ დასავლეთ ევროპის მენშევიკები, დღევანდელი დამარცხება მოასწავებს მენშევიკების საერთო დამარცხებას.

ხელს რომ უწყობდენ ეს კი ცხადზე ცხადია.

ამრიგად ჩვენში მომხდარი ამბები არის მორიგი ყაჩაღური მოქმედება მთელი ქვეყნის მენშევიკების და მათი დამარცხება მომასწავებელია მეორე ინტერნაციონალის გაკოტრების და გახრწნის.

რა მოხდა გურიაში

(საუბარი ამხ. თენგიზ ჟღენტთან)

ამხ. თენგიზ ჟღენტმა, ქართულ მსროლელ დივიზიის სამხედრო კომისარმა, რომელიც დანიშნული იყო გურიის შეიარაღებულ ძალთა სამხედრო კომისრად, გურიის ამბების შესახებ შემდეგ გადმოგვცა:

მენშევიკებს ძალღონე არ დაეზოგათ, რომ გურიის გლეხობა,—ეს ოდესღაც მათი ძლიერების ციტადელი, ჩაეთრიათ ყოვლად უაზრო ავანტიურაში. მაგრამ, მგონია, არსად ისე იმედ-გაცრუებული არ გამოსულან, როგორც აქ. ამაოდ ჩაუარათ დახარჯულმა ენერგიამ და უცხოეთის იმპერიალისტებისაგან გაწოდებულმა ფულების ფლანგვამ. გლეხობა მასიურად განზე გაუდგა და მენშევიკობა დარჩა გარიყული საბჭოთა ხელისუფლებისაგან დაჩაგრულ ბედის-მაძიებელთა ანაბარა. ტყვეთ ჩავარდნილ ბანდიტთა ვინაობიდან და მათი დაკითხვიდან გამოირკვა, რომ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლთა მთელი „არმია“ შესდგებოდა გურულ აზნაურებისაგან, ყოფილ გვარდიელთაგან, სამღვდელოების შვილებისა, ვაჭრებისა და საზღვარ-გარეთ გაქცეული ვაჟბატონების ოჯახის წევრებისაგან.

სწორედ ასეთი ელემენტებისაგან შემდგარმა ,,ლაშქარმა‘‘ იკისრა გურიის ,,განთავისუფლება‘‘ კომუნისტების ,,ოკუპაციისაგან‘‘.

ამ სასაცილო „შეთქმულობაში“ მონაწილეებს მშვენივრად დაეყოთ შრომა კომუნისტებთან ბრძოლის დროს: აზნაურ ტარიელ მკლავაძეებს ეკისრათ „ბრძოლის“ უშუალო წარმოება, ვაჭრებს „მებრძოლისათვის“ სურსათ-სანოვაგის მიწოდება, და მშვიდობიანი მცხოვრებთათვის ვაჭრობის შეწყვეტა (ფარული ბოიკოტი). მღდლები შესდგომოდენ ეკლესიების გახსნის თადარიგს და პარაკლისებს და ლოცვა-კურთხევას ბანდიტთა გამარჯვებისათვის. მუდამ უსაქმო და ყოველთვის მოცლილი ელემენტები, რომელნიც გამოუდეგარნი იყვნენ „ბრძოლისათვის“, თავგამოდებით და გულმოდგინეთ ავრცელებდნენ საზღაპრო ცნობებს. ერთი სიტყვით პარიტეტული კომიტეტის მრავალფეროვანი ჭრელი ლაშქარი ხელიხელ ჩაკიდებული აკეთებდა ერთს საქმეს: ანთავისუფლებდა საქართველოს პროლეტარულ ხელისუფლებისაგან.

სრულიად მოულოდნელათ 29 აგვისტოს დილით ადრე ტყიდან გამომძვრალ ბანდიტებს დაეკავებიათ ჩოხატაური, ხიდისთავი და ზემო გურიის სოფლები, ქალაქ ოზურგეთის გარდა. „გამარჯვებულებს“ მაშინათვე დაუტყვევებიათ ადგილობრივი კომუნისტები თავიანთი ოჯახის წევრებით და შესდგომოდნენ მენშევიკურ „მშენებლობას: დაეყენებიათ კომენდანტები, კომისრები და სხვა თანამდებობის პირნი.

აზნაურების და მღვდლების სიხარულს საზღვარი არ ჰქონია.

მემამულენი მაშინვე მისცვენიან ჩამორთმეულ მამულ-დედულს და სახლკარს. მღვდლები დროს არ ჰკარგავდენ და მოუწოდებდენ მრევლს დაბრუნებოდენ სარწმუნოებას. ამასთანავე ფაცი-ფუცობდენ დაკეტილ ეკლესიების გასახსნელად აზნაურთა ოჯახის წევრებს უკვე ხმა აემაღლებიათ: ჩვენ მარტო არ ვართ, ჩვენ გვეხმარება მთელი ევროპა; ინგლისელებმა უკვე გადმოსხეს თავისი ჯარები ბათომშიო აჯანყებულია მთელი საქართველო: თბილისი, ბათომი, ქუთაისი, ფოთი უკვე ჩვენს ხელშიაო.

ასეთი ჭორებით სცდილობდენ მიემხროთ გურიის გლეხობა, მაგრამ იგი მასიურად განზე გაუდგა ასეთ პროვოკაციას.

თუმცა თბილისიდან გაგზავნილი იყო ქართული ჯარის ნაწილები, მაგრამ ბანდიტური გამოსვლის ლიკვიდაცია იკისრეს გურიის კომუნარებმა.

ღამით 31 აგვისტოს მათ დაიწყეს შეტევა სამი მიმართულებით.

ბანდიტები იმდენად მოუმზადებელი და სუსტი აღმოჩნდენ, რომ მაშინვე იწყეს უკან დახევა. წინააღმდეგობის გაწევა გაბედეს მხოლოდ ცხემლის ხიდთან, სადაც მოკლულ იქნა ერთი კომუნარი.

ამის შემდეგ ბანდიტები ბახვის გზით მიაწვენ ასკანას და ხიდისთავს, მაგრამ ნაგომრის გზით მათ შემოუტია მე-5-თე ლეგიონმა და ორ სექტემბერს ბანდები იძულებული გახდენ ხიდისთავი და ჩოხატაური სავსებით დაეცალათ. ამ ხნის განმავლობაში მცირე შეტაკება მოხდა მხოლოდ ხიდისთავთან, სადაც მოკლულ იქნა 1 კომუნარი ამხ. სიხარულ ძე და დაჭრილი 3 წითელ-არმიელი. ბანდიტებმა დაკარგეს ამ შეტაკებაში 10 ზე მეტი მოკლული.

კომუნარების და წითელ-არმიელების ჩოხატაურთან მოსვლისთანავე, ბანდიტებმა დაპატიმრებული კომუნისტები დასტოვეს და კუდამოძუებულნი გაიქცნენ. დაპატიმრებულ კომუნისტებს შორის ადგილი არ ჰქონია უიმედობას და სასოწარკვეთილებას; ყველას სჯეროდა, რომ ეს იყო წყალწაღებულთა ხავსზე დაკიდება. მებრძოლ კომუნარებს და წითელ-არმიელთ ჩოხატაურში შესვლის დროს წინ შემოეგებენ პატიმრობიდან უკვე განთავისუფლებული კომუნისტები წითელ დროშებით ხელში და ინტერნაციონალის სიმღერით. აღფთოვანებას საზღვარი არ ჰქონია. ბანდიტების გამოსვლა მშვენიერი გამოცდა იყო ჩვენი ახალგაზრდა წითელი არმიისათვის. იგი გაბედულად და ვაჟკაცურად ეძებდა შემთხვევებს ბრძოლისათვის, რომელსაც ასე გაურბოდენ „მამაცი“ ბანდიტები. აღსანიშნავია ის, რომ წითელ არმიის ნაწილებს უერთდებოდენ უვადო და დროებით შვებულებაში გაშვებული წითელი არმიელებიც. ისინი თავისი ნებით მოდიოდენ შტაბში და უერთდებოდენ მომქმედ ნაწილებს.

ამ ავანტიურის ლიკვიდაციის შემდეგ მოწვეულ იქნა სოფლებში მიტინგები, რომელზედაც სალაპარაკოდ გამოდიოდენ ყოფილი მენშევიკები და ადგილობრივი გლეხობა. ისინი განცვიფრებული იყვენ იმ ლმობიერებით, რომელიც საბჭ. ხელისუფლებამ გამოიჩინა შეცდომაში შეყვანილი გლეხების მიმართ. პროვოკატორებს ხმა გაევრცელებიათ, კომუნისტები არ გაარჩევენ მრუდს და მართალს. ბანდიტიზმში უნებურად ჩათრეულნი განიცდიან უსაზღვრო სინიდისის ქეჯნას. იყო სამი შემთხვევა თავის ჩამოხრჩობისა. ლმობიერად მოქცევამ სრულიად გამოაცალა ნიადაგი მენშევიზმს, გლეხებს თვითონ გამოაქვთ სოფლის ყრილობებზე დადგენილებები, რომ სოფლის „პრიგოვორით“ ჩამოერთვას უძრავ-მოძრავი ქონება მას, ვინც არ გამოცხადდება, ან ვისაც იარაღი აღმოაჩნდება.

— ჩემი ღრმა რწმენით, —დაასრულა საუბარი ამხ. თენგიზ ჟღენტმა,— არასოდეს არ ჰქონდათ გურიაში კომუნისტებს ისეთი ძლიერი გავლენა, როგორც ამ დღეს. ამ აჯანყებით მენშევიკებმა თავი დაიმარხეს იქ, „სადაც შობილან, გაზრდილან“.

ბორჯომის კავშირთა ხმა.

სრულიად ბორჯომის კავშირებს გამოაქვთ რეზოლიუციები, რომლებშიაც მოითხოვენ სასტიკ სასჯელს კიდევ დარჩენილ ბანდიტ-მენშევიკების მიმართ.

განსაკუთრებით ნათელია საბჭოთა მოსამსახურე ქალთა და კაცთა კავშირების რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია: „ჩვენ გასამკეცებული ენერგიით ვაწარმოებთ საგანმანათებლო მუშაობას მასებში და ერთხელ კიდევ დავამტკიცებთ, რომ მთელი მასწავლებლობა და ინტელიგენცია-საბჭოთა ხელისუფლებასთან არის.

სურახანელთა რეზოლიუცია.

სურახანის რაიონის მუშათა საერთო კრებამ მოისმინა რა მოხსენება ქართველ მენშევიკებისა და მისი ძმების დამარცხებულ ავანტიურის შესახებ, სრულიად უერთდება საქართველოს მუშათა და გლეხთა პროტესტს მათ წინააღმდეგ, ვინც სცდილობს დაარღვიოს თავისუფალი და მშვიდობიანი შრომა საბჭოთა რესპუბლიკის უაზრო სისხლის მღვრელ ავანტიურებით.

სურახანლები აღფრთოვანებული არიან შეთანხმებული ერთსულოვნობითა და სისწრაფით, რომლითაც საქართველოს მუშებმა და გლეხებმა ჩაახშვეს უცხოელ კაპიტალისტების ლაქიების ვერაგული შემოტევა.

რადიო-დეპეშები.

იუზის დეკლარაცია საბჭოთა კარშირის შესახებ.

საარჩევნო კომპანიასთან დაკავშირებით შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრმა იუზმა გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელიც წარმოადგენს ამერიკის საგარეო პოლიტიკის მიმოხილვას 1921 წლის მარტიდან.

საბჭოთა კავშირის შესახებ იუზმა განაცხადა:

1921 წელს, ეკონომიურ-კრიზისის დროს, საბჭოთა კავშირის მთავრობამ ფორმალური წინადადება მოგვცა შეერთებულ შტატებში სპეციალური დელეგაციის გაგზავნის შესახებ სავაჭრო ურთიერთობის დამყარების მიზნით.

ჩვენ ალუთქვით დახმარება საბჭოთა კავშირს. 21 თვის განმავლობაში ამერიკის დამხმარე საზოგადოებამ გააგზავნა საბჭოთა კავშირში 66 მილიონი დოლარის სურსათი.

ამერიკის მთავრობამ მეგობრობა გაუწია საბჭოთა კავშირს აგრეთვე შორეულ აღმოსავლეთის კონფერენციაზე, სადაც ირჩეოდა საკითხი შეიარაღების განსაზღვრის შესახებ.

პეკინში მყოფ ამერიკის მისიის ინსტრუქციებში ნათქვამი იყო, რომ რუსეთის ინტერესების დაცვა მთელი კონფერენციის ზნეობრივი მოვალეობაა.

თუმცა კონფერენციას არ დასწრებია საბჭოთა წარმომადგენლები,

მაგრამ იქ მიღებული გადაწყვეტილება არაფრით არ არღვევდენ რუსეთის მოქალაქეების კანონიერ ინტერესებს.

რაც შეეხება ოფიციალურ დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირთან, —განაცხადა იუზმა,—უკანასკნელის ცნობა შეუძლებელია, ვინაიდა ის სცდილობს მთელი ქვეყნის მთავრობათა ჩამოგდებას და ყოველგან კომუნისტური წესწყობილების შემოღებას.

მეორე დაბრკოლება საბჭოთა კავშირის ცნობის საქმეში ის არის, რომ ის უარს აცხადებს იცნოს ძველი მთავრობების ვალდებულებანი და დააკმაყოფილოს რევოლიუციის დროს რუსეთში დაზარალებული ამერიკის მოქალაქეები.

დეპეშაში ჩიჩერინისადმი, ამერიკის მთავრობამ განაცხადა შეერთებული შტატები არ დაიწყებს მოლაპარაკებას, სანამ საბჭ. მთავრობა არ შეცვლის დეკრეტს ვალების გაბათილების შესახებ და არ შესწყვეტს აგიტაციას ამერიკის წესწყობილების წინააღმდეგ.

იუზი შეეხო ახლო-აღმოსავლეთის პოლიტიკას და გამოსთქვა აზრი ოსმალეთთან ურთიერთობის დაჭერის სასარგებლოდ.

მან განაცხადა, რომ ოსმალეთი პატივს სცემდა შეერთებულ შტატების სახელმწიფოებრივ უფლებებს და არ სცდილობდა მოეწყო ამერიკაში „შეთქმულობა არსებულ სოციალურ-პოლიტიკური წესწყობილების წინააღმდეგ მსოფლიო რევოლიუცის სასარგებლოდ.“

პოლონეთის პრესა წითელი ფლოტის მანევრების შესახებ.

პოლონეთის პრესა აქვეყნებს ცნობას წითელი ფლოტის მანევრების შესახებ ბალტიის ზღვაზე პოლონეთის საზღვრების ახლოს.

„კურიარ პორანი“ სწერს:

„თუ საბჭოთა ფლოტს დასჭირდა გაემართა მანევრები პოლონეთის საზღვართან, უნდა ვიფიქროთ, რომ ამის მიზანია პირველ რიგში—იმოქმედოს დასავლეთ პაციფისტების ნერვებზე“.

ავსტრიის კომპარტიაში.

კომინტერნის აღმასკომის და ავსტრიის კომპარტიის დელეგაციამ გამოაქვეყნა წერილი კომპარტიის წევრებისადმი, რომელშიაც მოუწოდებენ გადააკეთონ პარტიის რიგები ფაბრიკა-ქარხნების უჯრედების საფუძვლებზე, გამოიჩინონ აქტიურობა და აღმოფხვრან ფრაქციული უთანხმოება.

დიკტატორის დასასრულის მოახლოება.

ესპანელები მაროკოში.

ესპანელთა ჯარი, რიცხვით 600 კაცი დიდ გაჭირვებას განიცდიან მაროკოში.

მათ თან და თან ავიწროებენ ზღვისაკენ კაბილები (ადგილობრ. ტომები).

ტეტუანის ქალაქს სტოვებენ მცხოვრებლები.

გენერალი პრიმა-დე-რივერა თავის შტაბით რჩება მაროკოში, სანამ არ იქნება გამომუშავებული საბოლოოდ კომპანიის გეგმა.

ესპანეთის ჯარებმა დასტოვეს თავიანთი პოზიციები სუტცთან. ეს ამტკიცებს დირექტორიის ახალი გეგმის დამარცხებას.

სამოქალაქო ომი ჩინეთში.

ბრძოლა შანხაის მიდამოებში.

ბრძოლა გრძელდება შანხაის მიდამოებში. საფრანგეთის კონცესიებს იქ იცავენ უცხოელი ჯარისკაცები და ზღვიდან გადმოსხმული რაზმები.

კიანგ-სუს პროვინციის არმიამ გაიმარჯვა. მაგრამ მისი წინსვლა შეაჩერეს ჩე-კი-უნის პროვინციის ჯარებმა. შანხაიში თავს იყრიან დიდძალი გადმოხვეწილები.

საუბარი ჩინეთის მეზღვაურთა კავშირის მდივანთან.

როსტას თანამშრომელთან საუბარში ჩინეთის მეზღვაურთა კავშირის მდივანმა ლამ-ვაი-მანმა, რომელსაც ამჟამად ეცნობა საბჭოთა კავშირის ტრანსპორტელთა მდგომარეობა, განაცხადა:

უცხოეთის იმპერიალისტები სრულიად უჭერენ მხარს ჩრდილოეთ-ჩინეთის მთავრობას, რომელიც ერთად ერთი ძალაა სუნ-იატ-სენის ნაციონალურ-რევოლიუციონური მოძრაობის წინააღმდეგ.

ჩინეთის მთელი მშრომელი მოსახლეობა სუნ-იატ-სენის მხარეზეა.

საბჭოთა კავშირში დაწყებული საზოგადოების-„ხელები შორს ჩინეთისაგან“—ორგანიზაცია უეჭველად შეიქრება ჩინეთის ყოველ კუთხეში და განამტკიცებს ორივე ქვეყნის მშრომელთა კავშირს.

მთავარი საბაბი ჩინეთის საქმეებში ჩარევისა ჩინეთ-საბჭოთა ხელშეკრულებაა. ამ ხელშეკრულებამ დიდი ხნის შემდეგ დაუმტკიცა ჩინეთის ხალხს, რომ მას ელაპარაკებიან, როგორც თანასწორს.

საბჭოთა ფედერაციაში

სემიონოვის წერილის გამო სავინკოვის შესახებ.

10 სექტემბერს გამოქვეყნებულ წერილში ყოფილი ესერი სემიონოვი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ დროს სავინკოვს შეუწყვიტეს სუბსიდია, რომელსაც ის იღებდა ვარშავისა და პარიჟიდან. სავინკოვის დაბრუნება საბჭოთა კავშირში მიეწერება ან სასოწარკვეთილებას ან მის ფათერაკების მაძიებლობას.

ფიმენის ჩამოსვლა მოსკოვში.

11 სექტემბერს მოსკოვში მოვიდა ამსტერდამის პროფკავშირთა ინტერნაციონალის ცნობილი მოღვაწე და ტრანსპორტელთა საერთაშორისო კავშირის მდივანი ედო ფიმენი.

დახმარება ჩინეთს.

რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურმა კომიტეტმა გადასცა კარახანის განკარგულებაში 20.000 მანეთი ჩინეთის წყალდიდობით დაზარალებულთა დახმარების მოსაწყობად.

„ხელი შორს ჩინეთისაგან.“

კიევის უმაღლეს სასწავლებლებში და ქარხნებში გამოტანილ იქნა მრავალი საპროტესტო რეზოლიუციები კაპიტალისტების ახალი ავანტიურის წინააღმდეგ ჩინეთში.

ბახმუტში.

ლიბკნეხტის სახელობის მარილის მაღაროების მუშებმა დაადგინეს კოლექტიურად შევიდნენ საზოგადოებაში, რომელიც ეწოდება „ხელები შორს ჩინეთისაგან“.

რადიო ყოველ მხრიდან.

ბალკანეთის სახელმწიფოებში.

სამხრეთ-სლავია.

რადიჩისა და გლეხთა პარტიებმა დაადგინეს შევიდნენ სამხრეთ-სლავიის მთავრობაში.

ეს გამოიწვია შიშმა იმის შესახებ, რომ შესაძლებელია შერეული მთავრობის შედგენა ზომიერ რადიკალებისა და დემოკრატებისაგან.

ახალი დაპატიმრებანი ბულგარეთში.

სოფიაში მოხდა მრავალი დაპატიმრებანი.

მთავრობის ცნობაში ნათქვამია, რომ აღმოჩენილია კომუნისტურ უჯრედებში იარაღებიო.

დაპატიმრებულთა შორის არის გლეხთა პარტიის მემარჯვენე დეპუტატი პეტკოვი.

27 რუმინელ კომუნისტის გასამართლება.

ბუქარესტის სამხედრო სასამართლოში დამთავრდა რუმინეთი 27 კომუნისტის საქმე.

რუმინეთის კომპარტიის ცეკას წევრს დობროჯანუს, რომელიც არ ყოფილა შეპყრობილი, გადაუწყვიტეს 10 წლის ციხე.

დანარჩენები გაამართლეს.

ეს მომასწავებელია მათი მსოფლიოში განადგურებისა.

ამ ათი დღის წინეთ ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ კუთხეში ყაჩაღური გამოსვლები მოხდა.

ჩვენ დღეს უკვე ვიცით ვისგან შესდგებოდა თავდამსხმელნი ბანდები და ვინ ხელმძღვანელობდა მათ.

სახელდობრ ამ საშინელ ამბების მომწყობნი იყვნენ მენშევიკები, ფედერალისტები, ნაციონალ-დემოკრატები. პარტია შესდგებოდა: თავადებისაგან, აზნაურთაგან, გაკრეჭილ მღვდლებისაგან, ყოფილ ოფიცრებისაგან და ყველა ჯურის ყაჩაღ-ქურდ-ბაცაცისაგან.

თვით ეს შემადგენლობა და მოქმედება აშკარად მღაღადებელია მენშევიკების სრული გაკოტრების-გადაგვარების.

და ეს გაკოტრება ხდება არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს ფარგლებში.

თუ მენშევიკების შორეულ წარსულს გადავათვალიერებთ, ჩვენ დავინახავთ, რომ ეს პარტია აღმოცენებულია მარქსის მსოფლ-მხედველობაზე. მხოლოდ მთელი უბედურება მენშევიკებისა იმაში მდგომარეობს, რომ მათ ვერ გაიგეს ამ დიდი კაცის აზრი ისე, როგორც უნდა გაეგოთ.

მენშევიკების ტვინმა ვერ შესძლო მარქსის სწავლის შეთვისება და მონელება.

მენშევიკები თავიდანვე შემცდარ გზაზე იდგენ; ეს შეცდომა რაც უფრო დრო გადიოდა ღრმავდებოდა და დიდდებოდა; ისინი სულ თანდათანობით სცილდებოდენ რევოლიუციონურ გზას და დაბოლოს იქამდი მივიდენ, რომ პირდაპირ ბურჟუაზიის, კონტრევოლიუციის გზას დაადგენ.

ასეთი გადახრა მშრომელი ხალხის მტრებისაკენ, მათთვის სამსახურისა და მფარველობის გაწევა, ყოველთვის აშკარა გამოსახვას პრაქტიკულ ნაბიჯების გადადგმის დროს პოულობდენ. თუმცა თეორიულ მსჯელობის დროსაც მენშევიკები თავის რევოლიუციონერობით შორს ვერ მიდიოდენ.

მათ გააყალიბეს ჩვენი მასწავლებლის, კარლ მარქსის, რევოლიუციონური აზრი და კაპიტალიზმის მოსპობა მოინდომეს რეფორმების გზით.

ეს კი შეუძლებელი იყო, ვინაიდან არც ერთი სულელი არ დაგითმობს თავის ბედნიერ ცხოვრებას, კაპიტალისტები კი მეტად ჭკვიანი ხალხია; მაშასადამე ისინი მით უფრო არ იტყოდენ მუშებისა და ღარიბი გლეხების სასარგებლოდ უარს თავის ბედნიერებაზე.

მუშებმა თავის საკუთარი ძალით უნდა მოიპოვონ თავისუფლება, ამბობს ჩვენი მასწავლებელი.

მენშევიკებმა არ მოისურვეს ამის გაგება.

1914 წ. იმპერიალისტური ომის დაწყების დროს მეორე ინტერნაციონალმა თავი ისახელა ომთან დამოკიდებულებაში.

ყველა ქვეყნის მენშევიკებმა ერთ ხმად აღიარეს დახმარება გაეწიათ საკუთარ ქვეყნის ჯალათებისათვის.

შემდეგში 1917 წ. რუსეთში მოხდა დიდი რევოლიუცია. ამ რევოლიუციის ცეცხლმა ევროპაც არ დაინდო. იქ მთელ რიგ სახელმწიფოებში იმპერიალისტები ტახტიდან ჩამოგდებულ იქნა.

მაგრამ ამით რა გამოვიდა?

არაფერი...

რატომ?

იმიტომ, რომ მენშევიკებმა აქაც მარჯვნით დაიწყეს ჩოჩვა.

რუსეთის მენშევიკები ნიკოლოზ მეფის გენერლებს: კოლჩაკს, დენიკინს, იუდენიჩს და სხვებს დაუმეგობრდენ.

ამ ოხრებთან ერთად დაუწყეს ბრძოლა გამარჯვებულ მუშას და ღარიბ გლეხს.

ძვირი დაუჯდა ეს ვერაგობა რუსეთის მუშას. რამოდენიმე ათასი და ათიათასი რევოლიუციონერი დახვრიტეს, დააობლეს ბავშები, დააქვრივეს ქალები.

დასავლეთ ევროპაში მენშევიკებმა იგივე სამსახური გაუწიეს რევოლიუციას. გერმანიის და ავსტრო-უნგრეთის რევოლიუცია მოსპობილ იქნა მათის დახმარებით.

ასეთმა აშკარა მოღალატურმა მოქმედებამ ჩამოაშორა მენშევიკებს მუშები და გლეხები.

ისინი შეიქმნენ ყოფილ თავადების და მღვდლების პარტიათ.

ასე მოხდა ეს ჩვენშიაც. მაგრამ ეს ამბავი არ შეიძლება ვიწროთ განხილულ იქნას.

საქართველოს მენშევიკების გაკოტრება ეს ნიშნავს მენშევიკების გაკოტრებას მთელს ქვეყანაში.

ამას ერთხელ კიდევ ზედმეტჯერ ადასტურებს ჩვენში მომხდარი ამბები.

ამ ათი დღის წინეთ მომხდარი ავანტიურა არ არის მარტო ქართველი მენშევიკების თავის ნაყოფი იგი მოსაზრებულია იქ დასავლეთ ევროპაში.

ამ ავანტიურის შედგენაში მონაწილეობას ღებულობდენ დასავლეთ ევროპის ყველა მენშევიკები უფრო კარგად, რომ ვსთქვათ ეს არის მორიგი საქმე მე-2 ინტერნაციონალის.

რა უნდათ და რის ეშინიათ? მე 2 ინტერნაციონალის მთავარ საზრუნავს შეადგენს რუსეთის ოქტომბრის რევოლიუციის ცეცხლის ჩაქრობა. ეს ცეცხლი დიდია; დიდია ამ ცეცხლის ალის ენები; იგი მთელს მსოფლიოს ემუქრება დაყირავებით; იგი ემუქრება მოსპობით მეორე ინტერნაციონალს.

ამიტომ არც ევროპის იმპერიალისტები და არც მეორე ინტერნაციონალი არავითარ ღონისძიებას არ ზოგავენ ოქტომბრის რევოლიუციის ალის ჩასაქრობად.

ამიერ-კავკასია და კერძოთ საქართველო დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიას და მის ლაქიად ქცეულ მეორე ინტერნაციონალს ყოველივეზე უფრო აინტერესებთ.

საქმე ის არის რომ აქ ამიერ-კავკასიაში არის ბაქოს სახით ისეთი ნავთით მდიდარი ადგილი, როგორიც არსად არ არის. გარდა ამისა ამიერ-კავკასია აინტერესებს მუშურ-გლეხური ხელისუფლების მტერთ იმითაც, რომ ეს მხარე არის აღმოსავლეთის და დასავლეთს ერთ-ერთი შემაერთებელი გზა.

აღმოსავლეთი კი დღეს ბევრად გაუსწრებს დასავლეთს თავის რევოლიუციონურ მოძრაობით. ეს ძილს უფრთხობს დასავლეთის კონტრ-რევოლიუციას.

ამ რიგად საქართველოს უკანასკნელი ამბები ეს იყო ცდა ოქტომბრის რევოლიუციის საწინააღმდეგოდ განწყობისა.

ამ ცდამ სრულიად უქმად ჩაიარა. მან ვერ ჰპოვა და ვერც პოებდა გამოძახილს მშრომელთა შორის. იგი სამარცხვინოდ დამთავრდა. თავადებს და აზნაურებს თვით ხალხი გაუმასპინძლდა.

ეს დამარცხება ნათელ ყოფს მენშევიკების და საერთოდ მე-2-რე ინტერნაციონალის სრულ გაკოტრებას.

ის გაკოტრდა არა საქართველოს, არამედ მთელი ქვეყნის ფარგლებში.

ამას ავანტიურის მთავარი მეთაურნიც აშკარად გრძნობენ და აღიარებენ პრესის ფურცლებზე.

—ი.

როგორ შეხვდა ქართული წითელი არმია მენშევიკურ ბანდიტურ გამოსვლებს

ხმა განაპირდან.

7 სექტემბერს მოხდა ახალდაბაში მდგარ საკავშირო ასეულის მთელი შემადგენლობის და ადგილობრივი მშრომელი გლეხობის გაერთიანებული კრება.

მენშევიკურ-ბანდიტურ გამოსვლების შესახებ—მათი ავაზაკური მოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა ბორჯომის რაიონული აღმასკომის პასუხისმგებელ მდივანმა.

ამხ. ფართეთ გააცნო მიტინგს შექმნილი მდგომარეობა. მან აღნიშნა ბატონ მენშევიკების საგმირო საქმეები ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ ადგილებში მოწყობილი სამარცხვინო გამოსვლებით და სხვა.

მათ სურდათ თავად-აზნაურებისა და სამღვდელოების მეოხეობით გაენადგურებიათ მშრომელი ხალხის ხელისუფლება ჩვენში, მაგრამ ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში.

საქართველოს მშრომელმა ხალხმა ღირსეული პასუხი გასცა ამ ავანტიურისტებს და სათანადო ადგილიც მიუჩინა მათ.

ამხანაგის სიტყვის შემდეგ გამოვიდა, როგორც წითელი ჯარის წარმომადგენლები, ისე ადგილობრივი გლეხებიც. განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო გლეხების სიტყვები, რომლებმაც მოიგონეს ნიკოლოზისა და მენშევიკების დროს მათი მდგომარეობა და აღნიშნავდენ თავად-აზნაურების საქციელს. ბოლოს კი ყველა ასე აბოლოებდენ თავის სიტყვებს: „გაუმარჯოს დღევანდელ ხელისუფლებას, რომელმაც ყოველ მხრივ უზრუნველყო გლეხებიო".

ბოლოს მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიდაც მუშები, გლეხები და წითელ არმიელები წყევა—კრულვას უთვლიან ევროპაში მოკალათებულ მენშევიკებს და მათ საქმიანობას, რომელიც ესოდენ ძვირად უჯდება საქართველოს მშრომელ ხალხს. „ჩვენ არა გვწამს არც ერთი პარტია, რომელიც ბურჟუაზიულ წრეებს ელაქუცება და ატარებს მუშათა პარტიის იარლიკს".

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, რომელიც უდიდესი დარაჯია და იცავს მშრომელი ხალხის ინტერესებს!

ძირს მენშევიკები და მათი „საზიზღარი ავანტიურა.

სერმონია.

ძირს მენშევიკ-ავანტიურისტები.

7 სექტემბერს, შესდგა 1 ლეგიონის საკავშირო და მზვერავი გუნდის კომუჯრედების გაერთიანებული კრება, რომელსაც უპარტიო წითელ-არმიელებიც დაესწრენ. კრებამ მოისმინა ამხ. ხომერიკის მოხსენება საქართველოში ამ ათი დღის წინედ მომხთარ მენშევიკურ-პროვოკაციულ გამოსვლების შესახებ.

კრებამ ერთხმად, მოხსენების დასრულების შემდეგ, მიიღო შემდეგი რეზოლიუცია.

„1 ლეგიონის საკავშირო და მზვერავი გუნდის კომუჯრედების გაერთიანებულმა კრებამ მოისმინა რა ამხ. ხომერიკის მოხსენება ბანდიტ მენშევიკების გამოსვლების შესახებ, დაადგინა; ჩვენ, როგორც ყოველთვის, დღესაც მტკიცედ ვსდგავართ მუშურ-გლეხურ ხელისუფლების სადარაჯოზე. ფიცს ვსდებთ რომ ჩვენს მთელს ენერგიას და სიცოცხლეს შევსწირავთ საბჭოთა ხელისუფლების დაცვის საქმეს. ბანდიტურ გამოსვლების მომწყობნი, რომლებიც არღვევენ მშრომელთა მშვიდობიან მუშაობას, ჩვენ სასტიკად დავსჯით. ამ ამბებიდან ჭკუას ისწავლიან ბანდიტი მენშევიკები, თავად-აზნაურობა, გაკრეჭილი მღვდლები და ვაჭრები.

ძირს მათი ხელმძღვანელი ავანტიურისტი მენშევიკები!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

Z.

ზოგი ჭირი მარგებელია.

მართალია ქართულ წითელ არმიელებში არასოდეს მერყეობას ადგილი არ ქონია და ყველა ერთსულოვნად გამსჭვალული იყო საბჭოთა ხელისუფლების დაცვის სურვილით, მაგრამ ამ უკანასკნელი გამოსვლებით მენშევიკებმა საბოლოოდ დაკარგეს თავის გავლენა და დღეს ქართული წითელი ჯარი განსაკუთრებით თავდადებულია მუშურ-გლეხური ხელისუფლების განმტკიცებისა და უძლეველობით.

ერთად ერთი მუშათა და გლეხთა ინტერესების დამცველი მთავრობა, მხოლოდ საბჭოთა მთავრობა არისო—აი რას გაიგონებთ წითელ არმიელებში—ყოველ წუთს და ყოველ ფეხის გადადგმაზე.

ჩვენს რიგებში არ მოიპოება ისეთი შეუგნებელი წითელ არმიელი, რომელიც მთელი თავისი არსებით არ შეეწირება ჩვენი მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დაცვის საქმეს.

ეს ნათლად დაამტკიცა 2 სექტემბერს მეორე ლეგიონის შემადგენლობის მიერ მიღებულმა რეზოლიუციამ. თითეულის სურვილი იყო რომ საქართველოს მუშებთან და გლეხებთან ერთად მონაწილეობა მიეღოთ ბანდიტური მოძრაობის ლიკვიდაციაში.

მენშევიკურმა—უდღეურმა გამოსვლებმა ერთხელ კიდევ უფრო შეამჭიდროვა ქართული წითელი ლაშქრის რიგები და აშკარათ დაანახვა მას, თუ ვინ არის საქართველოს მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველი თავად-აზნაურები, მღვდლები მენშევიკებისა პარტია, თუ წმინდა მუშებისა და მშრომელი გლეხების ინტერესების დამცველი კომუნისტური პარტია.

ამიერიდან ჩვენი რიგები გასკეცებული ენერგიით დაუხვდება წინ მუშებსა და გლეხების გარეშე თუ შინაურ მტრებს.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გ. ვინმე.

მესამე ლეგიონი თავის სადარაჯოზე.

მივიღეთ თუ არა ცნობა, რომ საჭირო იყო ფხიზლად გამოვსულიყავით მენშევიკურ ბანდიტური გამოსვლების წინააღმდეგ, ლეგიონის მთელი შემადგენლობა იმ წამსვე დადგა ფეხზე.

მაგრამ ერთი გაფრთხილებაც თავიდანვე მიღებული იქნა მხედველობაში.

ჩვენი ლეგიონი ახლად შემდგარია და ამიტომ მეორე რიცხოვანიც. ამასთანავე ჩვენთან უფროსთა შემადგენლობაში აღმოჩნდენ არა საიმედო ელემენტებიც.

მათი დატუსაღების შემდეგ ლეგიონმა, რომ უფრო პირნათლად შეესრულებია თავისი მოვალეობა მშრომელი ხალხის წინაშე, გამოითხოვა დახმარება ადგილობრივი კომუნარებისაგან.

ჩვენს მოწოდებაზე გამოგვეხმაურა სამხრეთ-ოსეთის ორგანიზაცია და ჩვენს ლეგიონში მოავლინა 200 შეიარაღებული კომუნარები.

3 სექტემბერს მოხდა ოს კომუნარების კრება, სადაც მოხსენება გააკეთა პოლიტ-განყოფილების თანამშრომელმა.

ოსი ამხანაგები აღფრთოვანებით შეეგებენ ამხ. მოწოდებას და აღუთქვეს, რომ ისინი მანამ დარჩებიან თავის სადარაჯოზე—სანამ არ მოხდება ბანდიტების სრული ლიკვიდაცია.

გაუმარჯოს ოს ამხანაგებს!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!

სამხკორი: **ბ. ბალათურია.**

მენშევიკური ავანტიურა ბანდიტიზმის უკანასკნელი სულის ამოქშენაა.

ყველა მოწამენი ვართ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ მენშევიკური შოვინიზმის, ყოველ გვარი გარყვნილების; ვის დაავიწყდება უკანასკნელ წუთებში მათ მიერ მონასტრების ცარცვა-გლეჯა, ხიდების აფეთქება და სხვა. ცხოვრებამ უარჰყო დრო მოჭმული მცარცველები, მოსპო მათი ბატონობა. საქართველოს მოევლინა მუშურ-გლეხური ხელისუფლება, რომელიც შეუდგა ენერგიულ, დაუღალავ საამშენებლო მუშაობას და მშრომელ ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებას. ყველასათვის ცხადი და აშკარაა თუ რამდენად აგვაყვავა და გაგვაძლიერა კომუნისტურმა პარტიამ, როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად. მალე შვიდი წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც დედა მიწის ერთი მეექვსედ ნაწილზე მუშათა კლასმა თავი დააღწია კაპიტალიზმის ბრჭყალებს. მოისპო ზნეობრივად დაცემულ მენშევიკების ბატონობა პაწია საქართველოს მშრომელებზე, მაგრამ სული მთლად არ ამოსვლიათ, მყრალი ლეში შეაფარეს და მიანდვეს სასიკვდილოდ განწირულ საფრანგეთის მუქთახორა ბურჟუა-კაპიტალისტებს. ოდესმე, მუშათა კლასის დამცველი მენშევიკები ზნეობრივად დახურდავდენ, აშკარად დაადგენ მშრომელ ხალხის დასამარებას.

გონება დაკარგულებმა მიმართეს უკანასკნელ საშუალებას და მოაწყვეს საქართველოს ზოგიერთ კუთხეებში ყაჩაღური თავდასხმა, ნამუს ახდილებმა დაარღვიეს მშრომელთა მშვიდობიანობა, აგვიწიოკეს მშობლები და ქალები. მაგრამ ვერ მიაღწიეს მიზანს. აბა რას გააწყობდენ ეს დღეებ დათვლილი ავანტიურისტები ქონება ჩამორთმეული მდიდრების, მემამულეების, ღირსება ახდილ-გაკრეჭილი მღვდლების, მწყერ-მიმინოს ჩვეული-ილაჯ მიხდილი-აზნაურების, ჩარჩი-ვაჭრების, კულაკების, ბერების, დიაკვნების და ქურდ ბაცაცების საშუალებით? საქართველოს მშრომელი ხალხი სათანადოთ გაუმასპინძლდა ამ ავაზაკებს და გაისტუმრა იქით, სიითაც ეკადრებოდა მათ შავბნელ საქმიანობას.

ძირს მენშევიკური ავანტიურა!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას და კომ-პარტიას!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციას!

გაუმარჯოს წითელ ლაშქარს!

წ. მოლაშქრე **ვ. გაბისონია.**

იუზის თქმით, საბჭოთა მთავრობას მიზნათ აქვს ყველა ქვეყნებში არსებული ბურჟუაზიული მთავრობები ჩამოაგდოს და განახორციელოს კომუნისტური წესყობილება. ამიტომ ამერიკას არ შეუძლია იცნოს ს. ს. რ. (დეპეშებიდან)



—იუზი (ამერ. საგ. საქ. მინისტრი) მე მხოლოთ ეხლა მივხვდი რომ კომინტერნი და „სოვნარკომი" ერთი და იგივე დაწესებულებაა... მე არც ერთი მინახავს და არც მეორე (ღმერთო, დამიფარე!)... ამიტომ მე... და მაშასადამე ამერიკა, ვერ იცნობს ს. ს, რ. კავშირს.

პირველ ლეგიონის პირველ ასეულში.

7 სექტემბერს მოხდა პირველი ლეგიონის პირველ ასეულის გაერთიანებული კრება. კრებაზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ანდღულაძე, რომელიც შეეხო მენშევიკური გამოსვლებს საქართველოში.

„საბჭოთა ხელისუფლების გარეშე მდგომი ყველა ნაძირალები: მენშევიკები, მღვდლები, თავადები და სხვა, როგორც წინად, ისე ეხლა ვერ ურიგდებიან მშრომელი ხალხის საკეთილდღეო ჩვენს საქმიანობას.

28 აგვისტოს მენშევიკებმა და ყველა ჯურის მათმა დამქაშებმა გაილაშქრეს მუშურ გლეხურ ხელისუფლების წინააღმდეგ.

ამ გამოსვლებით ისინი კვლავ სცდილობდენ თავის ბატონობის დაბრუნებას საქართველოში, მაგრამ მათ შავ ზრახვებს გაბედულად აღუდგა წინ საქართველოს მშრომელი მასა.

მუშათა კლასის ინტერესების მოღალატე მენშევიკებს შესაფერი სისასტიკით უსწორდება საბჭოთა ხელისუფლება. ამას მოითხოვს საქართველოს მშრომელთა ნება.

პირველი ლეგიონის წითელი მოლაშქრეები ერთხელ კიდევ ვიძლევით ფიცს, რომ მშრომელი ხალხის მოღალატე მენშევიკების წინააღმდეგ გამოვალთ მთელი სისასტიკით.

ჩვენ მოვითხოვთ რომ ყველა ნაძირალების და მეამბოხეთა შესაფერისად დასჯას.

დეე, იცოდეს ყველამ, რომ ამ საქმეში ჩვენთან ერთად არიან საქართველოს მთელი მშრომელები.

ხ. იმნაიშვილი.

ჩვენი ქსენონი.

მეორე ლეგიონში გვაქვს ქსენონი, რომელიც თავის შესაფერ სიმაღლეზე სდგას. წესრიგი და საერთოდ ყველა მოთხოვნილებანი საუცხოვოდ არის დაცული.

პირველ ხანებში—სანამ მეორე ლეგიონი სრულიად ჩამოყალიბდებოდა—ქსენონიც ვერ იდგა თავის სიმაღლეზე, მაგრამ ამ ჟამად ლეგიონის მოღონიერებასთან ერთად გა-

მოკეთდა ქსენონის საერთო მდგომარეობაც.

უნდა აღინიშნოს ამხანაგ ავალიანის ენერგიულმა საქმიანობამ ძლიერ შეუწყო ხელი ქსენონის ასეთ სიმაღლეზე დაყენებას. ვუსურვებთ ამხანაგს, რომ მომავალშიც უფრო ენერგიულად ემოქმედოს და კიდევ უფრო დაემსახურებიოს ლეგიონის მთელი შემადგენლობის პატივისცემა.

პარტკორი: **შენი ვარ.**

სამხედრო მომზადების პირველი პუნქტი.

სამხედრო სწავლების პირველი პუნქტი მოთავსებულია ვანქის სობოროს პლაცზე.

მეცადინეობა ნორმალურად მიმდინარეობს კვირაში სამჯერ.

პირველად პუნქტი მეტად ცუდ მდგომარეობაში იყო, რადგან არ გვქონდა საჭირო ინვენტარი და სხ. მაგრამ თბილისის ალმასკომის დახმარებით ამ ჟამად ცოტა ოდნავად გამოსწორდა ჩვენი მდგომარეობა.

პუნქტის კანცელიარია და სხვა მოთავსებულია ორ ოთახში.

ეს მაინც ვერ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას, რადგან არა გვაქვს ლენინის კუთხე, წიგნთ-საცავი, სამკითხველო და სხვა რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

პოლიტსაათები გვარიანად ტარდება.

25 აგვისტოს გვეწვია მეორე ლეგიონის პარტკორი და პოლიტხელი ამხ. ი. გაგოშიძე.

მან გამართა ჩვენთან საუბარი თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სამხედრო კორესპონდენტს.

პუნქტის უფროსს დაავალა ამხანაგმა აუცილებლად მოწყობილ იქნეს ჩვენთან ცნობათა ყუთი, აგვიხსნას მისი მნიშვნელობა და სხვა.

პუნქტის საერთო კრებაზე ზოგიერთმა მწვევამდელებმა წინადადება შემოიტანეს რათა სასტიკი ზომები მიიღონ მწვევამდელ დეზერტირების წინააღმდეგ, რომლებიც არ ცხადდებიან პუნქტში და ასეთები კი შეადგენენ თითქმის სამოცდა ხუთმეტი პროცენტსო.

სამკორი: **რისხვა.**

კვლავ ყაზარმაში.

თითქმის ორი თვე ნახევარია, რაც პირველი ლეგიონი იმყოფება ბანაკში. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიძინა ლეგიონმა სამხედრო საწყობრო და სხვა მეცადინეობით. ეხლა უკვე მოაწია დრომ როდესაც ლეგიონი უნდა დაბრუნებოდა თავის ყაზარმას. კიდევაც მივიღეთ სამისო ბრძანება და ერთ მშვენიერ დღეს შეუდექით სამზადისს.

წითელ არმიელების სიხარულს საზღვარი არ ქონდა. ბანაკში უკვე საკმაოდ აცივდა და წითელ არმიელებს ბუნებრივად დაებადათ ყაზარმაში დაბრუნების მოთხოვნილება.

დღის 12 საათზე ასეულებმა იწყეს გამოსვლა მწვანით აბიბინებულ მინდორში. უკრავს ლეგიონის ორკესტრი, ყველა თავის ადგილზეა: ბატარეია—ტყვია მფრქვევი რაზმი

ლეგიონის მწკრივებს წინ ამაყად ფრიალებენ ჩვენი წითელი დროშები.

გამოჩნდენ ჩვენი დაულალავი ხელმძღვანელებიც, რომლებიც მიესალმენ წითელ მოლაშქრეებს და იძლევიან სათანადო განკარგულებას.

დაიძრა ნაწილები, გაისმა მკვირცხლი გურული და სხვა სიმღერები... კრიმანჭულობს ხმები, ნაწილები ერთმანეთს ეჯიბრებიან და ყველას კი მუსიკის გრიალი ფარავს.

აი კიდევაც მივაღწიეთ ჩვენს წითელ ყაზარმებს.

მშვენივრად მორთული და გალამაზებულია.

საღამოს ჩვეულებრივად გაიმართა სხვა და სხვა ხასიათის საუბრები ასეულებში, შემდეგ სიმღერა და საერთო მხიარულებამ აახმაურა აქამდე დადუმებული წითელი ყაზარმები.

დაიწყო ჩვეულებრივად პოლიტსაათებსა და სხვა ხასიათის მეცადინეობის ჩატარება, ამუშავდა ლენინის კუთხეებიც. სამხედრო მეცადინეობაც თავისებურად მიმდინარეობს.

იმედია საზაფხულო სეზონში შეძენილ ცოდნას ნაყოფიერად გამოიყენებს ჩვენი ლეგიონი.

ს. იმნაიშვილი.

შეისწავლეთ სამხედრო ქიმია

აირი (გაზი) „ფოსგენი“.

საწამლავია და უეცარ სიკვდილის მომგვრელი ის აირი, რომელიც მზადდება ჩვეულებრივ ბუხარში (ფეჩში), რომელშიაც ხის ნახშირის ცეცხლი ანთია. თუ ჩვენ ბუხრის საკვამლეს, მილს დავხურავთ ნახშირის სრულიად დაწვამდე, მაშინ, როგორც ვიცით, ოთახში დადგება ნახშირის სუნი (უგარი), რასაც უწოდებენ ჩვეულებრივად მხუთარ აირს, ქიმიკოსები კი—ნახშირჟანგს.

ამ აირს არ აქვს არც ფერი და არც სუნი. მხუთარ აირის ჩასუნთქვით ადამიანი იწამლება. ნახშირჟანგი თუ ადამიანმა ისუნთქა ცოტა ხნით, მაშინ მას ასტკივდება მხოლოდ თავი და თუ დიდი ხნით—ის უსათუოდ მოკვდება ან ჭკუაზე შეირყევა.

იმის გამო, რომ ეს აირი უფერულია, როგორც თვით ჰაერი და არა აქვს მას არავითარი სუნი, ამიტომ მისი შემჩნევა ჰაერში ძნელია. ხშირად ადამიანი მხუთარი აირით (უგარით) იწამლება და კვდება.

სამხედრო ქიმიკოსები დიდი ხანია ცდილობენ სამხედრო მიზნებისათვის ამ აირის გამოყენებას, როგორც მხრჩოლავისა; მაგრამ შეუძლებელი იყო მისი ამ სახით გამოყენება, რადგან, პირველ ყოვლისა მისი სითხეთ გადაქცევა იმნაირად, რომ მოსახერხებელ გამხდარიყო ყუმბარების გატენა, ძალიან ძნელი აღმოჩნდა. მეორე მხრივ ეს აირი იფანტება ჰაერში და დანავარდობს ძალიან მაღლა დედამიწის ზედა პირიდან. აირი—ქლორი კი, როგორც წინა წერილიდან ვიცით, ძალიან დაბლა დაფრინავს.

ქიმიკოსებმა ეს აირიც გამოიყენეს.

აირი—ქლორი და აირი ნახშირჟანგი მზის სხივების და ელექტრონის სინათლის საშუალებით თანდათანობით ერთმანეთში შეაზავეს. ქიმიკურად ერთმანეთს შეუერთეს და მიიღეს ახალი საწამლავი აირი, რასაც სახელად უწოდეს „ფოსგენი“.

აირი „ფოსგენი“ ხდება ნამდვილ აირად მხოლოდ მაშინ, როცა სითბო ჰაერში რვა გრადუსზე ცელსიით მაღლა დგანა, ამაზე დაბალ სითბოში ის გადაიქცევა უბრალო სითხეთ.

ეს აირი თითქმის უფეროა და დამპალი თივის და ჭაობიან ადგილის გამხმარ ბალახის სუნი უდის.

„ფოსგენ“-ს ღებულობენ, როგორც ზევით ვთქვით, ქლორიდან და ნახშირჟანგიდან, ორივეს კი საჭმელ მარილიდან და ნახშირიდან.

X.

≡მეცნიერება და ტექნიკა≡

ჩრდილოეთის ბრწყინვალება (სიანიე) და მისი ამოცნობა.

დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ცნობის მოყვარე ადამიანი ცდილობს ამოიცნოს ჩრდილოეთის ბრწყინვალების საიდუმლოება. ბევრი ნამუშევარი აქვს ამხრივ პროფესორ ვეგარდს.

მისი მიღწევები მრავალ საიდუმლოებას ხდის ფარდას და აშკარავებს არა მარტო ჩრდილოეთის ბრწყინვალების ბუნებას არამედ ამ ცდებით აშკარავდება აგრეთვე თუ რატომ არის შეუძლებელი, რომ კავშირი დაიჭირონ დედამიწიდან მარსზე რადიო ტალღების საშვალებით.

ვეგარდის ცდებმა გამოარკვია, რომ დედამიწა განსაზღვრულ სიმაღლეზე გარშემორტყმულია გაყინული აზოტის ფენებით.

როგორ მიაღწია ვეგარდმა ასეთ შედეგებს?

თანამედროვე ფიზიკაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა ე. წ. სპექტრალურ ანალიზს. რაში მდგომარეობს სპექტრალური ანალიზის რაობა?

ყოველ სხეულს გახურებულ მდგომარეობაში აქვს საკუთარი—თავისებური ხასიათის სხივები. ეს სხივები იძლევიან სხვა და სხვა სპექტრებს. შესწავლილია თითეული ნივთიერების სპექტრის სახე და ამნაირად შესაძლებელი გახდა მეცნიერებისთვის გამორკვეული იქნეს თუ როგორი ნივთიერებისაგან შესდგება თითეული მნათობი და როგორ მდგომარეობაში იმყოფება ის.

ყველა მნათობების სპექტრები შესწავლულია მეცნიერებისაგან, და იციან თუ როგორი ხაზები იმყოფება მათში.

დიდ ინტერესს იწვევდა ჩრდილოეთის ბრწყინვალების სპექტრი. აქ შენიშნული იქნა ისეთი ხაზები, რომლებიც არც ერთ აქამდე ცნობილ ნივთიერებათა სპექტრებს არ ახასიათებს.

ვეგარდმა სწორედ ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება და მისი ცდებიც იქეთკენ იყო მიმართული, რომ ბრწყინვალების სპექტრის ეს თავისებურება გამოერკვია.

მან ბოლოს და ბოლოს ნათელყო, რომ ჩრდილოეთის ბრწყინვალების სპექტრის ყველა ხაზები ოთხის გარდა წარმოადგენენ გაყინებრივ აზოტის ხაზებს.

(გაგრძელება ხვალინდელ №-ში.)

სამხრევტრიბუნალი

9 აგვისტოს სამხედრო ტრიბუნალმა დ. ხიხაძის თავმჯდომარეობით და კოლეგიის წევრების გაბუნიას და მესხის დასწრებით გაარჩია რამოდენიმე საქმე.

განუვითარებელი კაცი.

ეფრემ შერმადინი 1-ლი ლეგიონის წითელ არმიელი გაიპარა თავის ნებით სახლში (გორის მაზრაში) მიმდინარე წლის 4 ივლისს და დაყო იქ 31 ივლისამდე. ამ დღეს იგი თავის ნებით გამოცხადდა ნაწილში, სადაც იგი მისცეს პასუხისგებაში.

სასამართლოში მან განაცხადა, დეზერტირობა იმიტომ ჩავიდინე, რომ მძიმე ოჯახური მდგომარეობა მაიძულებდაო და შემდეგ კიდევ… განუვითარებელი კაცი ვარო.

სასამართლომ მას მიუსაჯა ოთხი თვის ვადით საჯარიმო გუნდში მოთავსება და ორასი მანეთის ჯარიმა, მაგრამ სიღარიბის გამო ჯარიმა აპატიეს.

ორჯერ დეზერტირობა.

ორჯერ იდეზერტირა ცხენოს. ლეგიონის წით. არმ. სერგო გობოზაშვილმა. ერთხელ გაიპარა ა. წლის 20 იანვარს და 30 იანვარს კი თავისივე ნებით გამოცხადდა უკან ნაწილში. მეორეთ გაიპარა 26 აპრილს და დარჩა სახლში 12 მაისამდე. ამ დღეს კი თავისივე ნებით ცხადდება თავის ნაწილში. აღმოჩნდა, რომ სახაზინო ტანისამოსი მას არ გაუფლანგია და დაბრუნებისას უკანვე წარადგინა. ორჯერ დეზერტირობას კი ბრალდებული აბრალებს ოჯახის უმწეო მდგომარეობას, სარჩენი მყავდა მოხუცი მშობლები, ცოლი და ობლებიო.

სამხედრო ტრიბუნალმა დაადგინა მიესაჯოს ბრალდებულ გობოზაშვილს ორჯერ დეზერტირობისათვის რვა თვით გამასწორებელ სახლში მოთავსება და 300 მანეთის ჯარიმა, მაგრამ რადგანაც ბრალდებული ღარიბია, ამიტომ ჯარიმა შეუმცირეს 50 მანეთამდე, საპატიმრო სასჯელის ძალაში დატოვებით.

დეზერტირმა ქუდიც დაკარგა.

საკავშირო ასეულის წითელ არმიელი გიორგი ღვინიაშვილი, ქიზიყელია სოფ. ნუკრიანიდან.

ბრალი ედებოდა დეზერტირობაში და სახ. ქუდის დაკარგვაში.

წარსულ 9 ივლისს იგი უნებართვოთ გაპარულა თავის სოფელში და დაუყვია იქ 15 ივლისამდე.

ამ დღეს კი იგი თავის ნებით ცხადდება ნაწილში. სახლში გაპარვისას მას დაჰკარგვია სადღაც სახაზინო ქუდი. დეზერტირობის მიზეზად მანაც ოჯახური მდგომარეობა დაასახელა.

ტრიბუნალმა მიუსაჯა მას ოთხი თვით საჯარიმო გუნდში მოთავსება და 200 მანეთის ჯარიმა.

ქუდის დაკარგვისათვის კი მიუსაჯეს დისციპლინარული წესით დასჯა. მაგრამ დისციპლინარული წესით სასჯელის მისჯა აპატიეს და 200 მანეთის ჯარიმა შეუმცირეს 50 მანეთამდე, მხოლოთ სამაგიეროთ უნდა აანაზღაუროს დაკარგული ქუდის ფასი.

ახალი ამბები.

— **სამხ. ტრიბუნალში.** 12 სექტემბრისათვის დანიშნულია გასარჩევათ პოლიტსკოლის წით. არმ. პლატ. ბუხრაშვილის საქმე. ბრალდება დეზერტირობა და სახ. ქონების გაფლანგვა.

— **წითელ არმაელთა სასპორტო წრე.** წით. არმ. ცენტრ. კლუბთან მოეწყო მძიმე ატლეტიკის საპორტო წრე, რომელიც დაიწყებს მუშაობას 16 სექტემბერიდან.

— **აგარაკ შოვის ელექტროფიკაცია.** აგარაკ შოვში ჰიდრო-ელექტრო სადგურის ასაგებათ, მუშაობა დაიწყება ამ დღეებში მომავალი წლის საგარაკო სეზონისათვის სადგური მზად იქნება.

— **დამზღვევ წიგნაკების აღრიცხვა.** დამზღვევ წიგნაკების აღრიცხვა დასრულდება 1 ოქტომბრამდე, ვინც ამ ხნის განმავლობაში არ წარმოადგენს აღსარიცხავათ წიგნაკს, მას მოესპობა საექიმო დახმარება.

— **ელდარის ველის მორწყვა.** ა. კ. წყალთა მეურნეობის სამმართველომ დაასრულა ელდარის ველის (სიღნაღის მაზრა) გამოკვლევა მისი მორწყვის მიზნით. მორწყულ იქნება 14.000 დესეტინა მიწა.

— **კოოპერაცია გარე-კახეთში.** გარეკახეთში არსებობს მხოლოდ ერთი მთლიანი კოოპერატივი (სოფ. საგარეჯოში) დანარჩენი კოოპერატივები შეუერთდნენ ტფილისის მთლიან მუშათა კოოპერატივს.

— **ხორცის ბაზრის გასაუმჯობესებლათ.** ხორცის ბაზრის გასაუმჯობესებლათ კოოპერატივმა „წითელმა ქართლმა“ გადასწყვიტა გახსნას საყასბოები ტფილისის სხვა და სხვა უბნებში.

— **კერძო ვაჭრობა ისპობა.** ბათომის მუშათა კოოპერატივმა გადასწყვიტა გახსნას პურის საცხობი კოოპერატივი. ამის გამო შუამდგომლობაა აღძრული ბათომის კომუნალურ მეურნეობის განყოფილების წინაშე რამოდენიმე დარაბის დათმობის შესახებ. შემჩნეულია, რომ კერძო ვაჭრობა თანდათან კვდება.

— **საავადმყოფო გორში.** 1-ლ ოქტომბერს გორში გაიხსნება საავადმყოფო 50 საწოლით. საავადმყოფო მოაწყო ადგილობრივმა ალმასკომმა.

— **ციმბირის ჭირის წინააღმდეგ.** ციმბირის ჭირთან ბრძოლის წარმატების მიზნით ქალაქის კომუნალურმა განყოფილებამ გადასწყვიტა გაადიდოს ბეითალ ექიმების შემადგენლობა.

— **სკოლები გლეხთა შვილებისათვის.** განათლების სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა მთელ რიგ მაზრებში გახსნას 3 წლიანი პრაქტიკულ-აგრონომიული ხასიათის სკოლები გლეხთა შვილებისათვის.

— **საექიმო იარაღების შეძენა.** ახალქალაქის სამაზრო აღმასკომის რწმუნებულმა შეიძინა ტფილისში საექიმო იარაღები ახალქალაქის საავადმყოფოსათვის.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1.500 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—პ. ჩუაჩიძე